

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო კურსის სილაბუსი

სასწავლო კურსის სახელწოდება : გარემოს დაცვა

სასწავლო კურსის კოდი : Z.1.G.37

ლექტორები: ელიზბარ ელიზბარაშვილი, პროფესორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის კათედრა, ტელ: 599-73-58-86, e-mail : eelizbar@hotmail.com კონსულტაციების დრო და ადგილი: ყოველი სასწავლო კვირის სამშაბათი, 12 საათიდან თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის IV სართული, გეოგრაფიის კათედრა.

ვლადიმერ გორგიშელი, დოქტორანტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის კათედრა, ტელ: 593645738.

კრედიტების რაოდენობა (ECTS): 5 კრედიტი, (125სთ.) საკონტაქტო 45სთ. მათ შორის: 15სთ. ლექცია; 30სთ. პრაქტიკული. დამოუკიდებელი მუშაობისთვის 80სთ.

სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო კურსი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებისათვის ბაკალავრიატში Y სემესტრში და დამატებითი (minor) სპეციალობის « გარემოსმცოდნეობა » სტუდენტებისათვის VIII სემესტრში.

სასწავლო კურსის მიზნები: კურსის მიზანია მომავალ გეოგრაფმა შეისწავლოს ატმოსფეროს, ჰიდროსფეროს და ლითოსფეროს დაბინძურების საკითხები, მათი დაცვის პრობლემები. გამოიმუშავოს წარმოდგენები ყველა ბუნებრივი პროცესის ერთიანობასა და ურთიერთკავშირებზე, და მათი ცვლილებების გამომწვევ ანტროპოგენურ ფაქტორებზე.

სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები: ზოგადი დედამიწათმცოდნეობა

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები :

ცოდნა და გაცნობიერება	აცნობიერებს გლობალურ დონეზე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობის თავისებურებებს.	იცნობს ატმოსფეროს, ჰიდროსფეროს და ლითოსფეროს დაბინძურების საკითხებს, მათი დაცვის პრობლემებს. აცნობიერებს ურთიერთდამოკიდებულებას
-----------------------	---	---

	აცნობიერებს ურთიერთდამოკიდებულებას ბუნებრივ და სოციალურ გარემოს შორის და შეუძლია მისი შედეგების შემოწმება	ბუნებრივ და სოციალურ გარემოს შორის, შეუძლია მისი შედეგების შემოწმება.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ შეასრულოს მარტივი დავალებები	შეუძლია მიღებული შედეგების შემოწმება. მსჯელობს ზოგად სივრცით და დროით კონტექსტში.
komunikaciis unari	icnobs da iyenebs Tanamedrove sainformacio sakomunikacio teqnologihs da	• SeuZl ia sxvadasxva wyar odan informaciis miReba, damuSaveba, anal izi da monacemebis interpretacia

სასწავლო კურსის შინაარსი:

1-2 კვირა

თემა 1. ატმოსფეროს დამაბინძურებელი ნივთიერებები (ლექცია-2სთ. პრაქტ.4სთ.). ატმოსფეროს დაბინძურების გავლენა ადამიანზე, მცენარეულ და ცხოველთა სამყაროზე. ლიტ.[1]-გვ.1-6.

3-4 კვირა

თემა 2. ატმოსფეროს გლობალური დაბინძურება (ლექცია-2სთ. პრაქტ.4სთ.). რადიაქტიური მინარევები. ბირთვული აფეთქება. გოგირდის ანგიდრიდი, აზოტის ოქსიდები და სხვ. ატმოსფეროს დაბინძურება მოძრავი წყაროებიდან. ლიტ. [1]-გვ.6-11.

5 კვირა

თემა 3. ქალაქის კლიმატის ანტროპოგენური ცვლილებები (ლექცია-1სთ. პრაქტ.2სთ.). სითბოს კუნძული, ტემპერატურის ინვერსიები. რადიაცია. ქარის სიჩქარე, ნალექები, ნისლი, ხილვადობა. ლიტ. [1]-გვ.11-13.

6-7 კვირა

თემა 4. ხმელეთის წყლების დაბინძურება (ლექცია-2სთ. პრაქტ.4სთ.). წყლის რესურსები. ზედაპირული წყლების მონიტორინგი, მათი ხარისხის შეფასების მეთოდები. ლიტ.[1]-გვ.13-18.

8-9 კვირა

თემა 5. მსოფლიო ოკეანის დაბინძურება (ლექცია-2სთ. პრაქტ.4სთ.). დაბინძურების წყაროები და სახეობები. მინარევების გავრცელება ოკეანეში. ოკეანის წყლების დაბინძურების თანამედროვე მდგომარეობა. ლიტ.[1]-გვ.18-23

. 10-11 კვირა

თემა 6. სამეურნეო მოღვაწეობის გავლენა ნიადაგებზე. ნიადაგების რადიაქტიული გაჭუჭყიანება(ლექცია-2სთ. პრაქტ.4სთ.). ნიადაგების რადიაქტიულ გაჭუჭყიანებასთან ბრძოლის მეთოდები.

ლიტ.[1]-გვ.23-28; 34-40

12-13 კვირა

თემა 7. მსოფლიო ოკეანის და ზედაპირული წყლების დაცვა დაბინძურებისაგან (ლექცია-2სთ. პრაქტ.4სთ.). ზღვის წყლის თვითდასუფთავების პროცესები. დამაბინძურებელი ნივთიერებების გავლენა ზღვის ორგანიზმებზე. ლიტ.[1]-გვ.20-23;28-31

14-15 კვირა

თემა 8. ზღვის გარემოს დაცვა გემების ექსპლუატაციის დროს.(ლექცია-2სთ. პრაქტ.4სთ.). ამოცანები და მეცნიერული საფუძვლები. მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმებები. ლიტ.[1]-გვ.31-34.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, წერიტი და ზეპირი გამოკითხვა, კოლოკვიუმი, პრეზენტაცია

შეფასების კრიტერიუმები: (იხ. <http://tesau.edu.ge/?p=3848#more-3848>)

შეფასების 100% გადანაწილება შემდეგი სახით:

შუალედური შეფასება _ მაქსიმალური 60%

მათ შორის: 2 წერიტი სამუშაო – 30% (15% X 2).

პირველი წერა ჩატარდება სემესტრის I ნახევარში, მეორე – სემესტრის ბოლოს. წერის თარიღსა და თემატიკაზე სტუდენტები წინასწარ იქნებიან ინფორმირებულნი. წერის ხანგრძლივობა 50 წთ.

4 სემინარული მეცადინეობა _ 20% (5% X 4).

ეს 20% უნდა დაგროვდეს მთელი სემესტრის განმავლობაში სემინარებზე მონაწილეობით.

1 ზეპირი პრეზენტაცია _ 10%.

საპრეზენტაციო თემას სტუდენტები შეარჩევენ საკუთარი სურვილით გავლილი თემატიკიდან, ხოლო პრეზენტაციის თარიღსა და დროს შეათანხმებენ პროფესორთან. რეგლამენტი 10-15 წთ.

დასკვნითი გამოცდა _ მაქსიმალური 40%

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება, როგორც წესი, წერიითი სახით. გამოცდის ხანგრძლივობა 2 სთ.

შეფასებები არსებობს შემდეგი სახის:

ა) (A) ფრიადი _ მაქსიმალური შეფასება 91% და მეტი

ბ) (B) ძალიან კარგი _ მაქსიმალური შეფასების 81-90%

გ) (C) კარგი _ მაქსიმალური შეფასების 71-80%

დ) (D) დამაკმაყოფილებელი _ მაქსიმალური შეფასების 61-70%

ე) (E) საკმარისი _ მაქსიმალური შეფასების 51-60%

უარყოფითი შეფასებებია:

ა) (FX) ვერ ჩააბარა _ მაქსიმალური შეფასების 41-50% (აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)

ბ) (F) ჩაიჭრა _ მაქსიმალური შეფასება 40% და ნაკლები (საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)

ძირითადი ლიტერატურა . 1. ელიზბარაშვილი, ე., (2010), გარემოს დაცვა, სალექციო კურსი, ელექტრონული ვერსია, თესაუ ბიბლიოთეკა.

.

დამხმარე ლიტერატურა : . 2. Владимир, А.М, Ю.И.Ляхин, Ю.И., Матвеев, Л.Т., Орлов, В.Г., (1991), Охрана окружающей среды, Ленинград, Гидрометеоиздат, პირადი ბიბლიოთეკა.